კომპლექსური დავალება მომზადდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან და 8 რეგიონულ პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად. პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ხორციელდება.

დავალებებში გამოყენებულია პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში მომზადებული რესურსები:



თემატური ბლოკი:	თემი, რომელშიც ვცხოვრობთ და/ან სამოქალაქო საზოგადოება
სამიზნე ცნება:	სამოქალაქო მონაწილეობა
საკითხი:	მოხალისეობა - სამოქალაქო ინიციატივა

კომპლექსური დავალების პირობა:

თქვენ ხართ მოხალისე, რომელსაც სურვილი აქვს თანატოლებს გააგებინოს რატომ არის მოხალისოება და სამოქალაქო ინიციატივები მნიშვნელოვანი საზოგადოებისთვის. ამისათვის გადაწყვიტეთ, დაამზადოთ და სოციალურ ქსელში გაავრცელოთ 3 პოსტერი.

პოსტერებში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- რა არის მოხალისეობა და სამოქალაქო ინიციატივები? რა მნიშვნელობა აქვთ მათ როგორც მოხალისეებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის?
- რა შეიძლება იყოს მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის მოტივი?
- როგორ შეიძლება მოხალისეობრივი საქმიანობით საზოგადოებაში არსებული პრობლემების მოგვარება?

პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

- დაამუშავეთ რესურსები **„მოხალისეობა, როგორც საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარების გზა“** ↓ და **„სხვადასხვა დროისა და ხალხის სხვადასხვა პრობლემა“** ↓
- ბარათების შექმნამდე გაეცანით თანატოლების სამოქალაქო ინიციატივებს, მათ შორის მოხალისეობის შესახებ. მაგალითად: **დასუფთავების აქცია** 🔗; **მძიმე დღეები და სანიმუშო მოქალაქეობა** 🔗

პოსტერის შექმნამდე სასურველია ნახოთ რამდენიმე ნიმუში↓.

მსგავსი პროდუქტების შექმნაში შეიძლება დაგეხმაროთ საიტი kapwing.com ან canva.com

მოხალისეობა, როგორც საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარების გზა

წყარო:

სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო „თანამშრომლობა საზოგადოებრივი სარგებლისათვის" გვ. 10, 20-21

პრობლემა (ბერძ. პრობლემა) ძველბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ამოცანას, დავალებას. დღეს პრობლემა განიმარტება, როგორც თეორიული ან პრაქტიკული საკითხი, რომელიც გამოკვლევასა და გადაწყვეტას მოითხოვს. პრობლემურად მიიჩნევა სიტუაცია, როდესაც რაიმე მოვლენაზე განსხვავებული შეხედულებები არსებობს. პრობლემური სიტუაციის დროს წარმოიქმნება წინააღმდეგობა არსებულ რეალობასა და მისაღწევ მიზანს შორის.

ძალიან ხშირად პრობლემის არსებობა ადამიანს ან საზოგადოებას ხელს უშლის ჰარმონიულად ცხოვრებასა და განვითარებაში. ამიტომ უძველესი დროიდან მოყოლებული, ადამიანები პრობლემის გადაჭრას ან მოგვარებას ცდილობენ.

თითოეულ ადამიანს უამრავი პრობლემა აწუხებს. ზოგი მათგანი რამდენიმე გზით შეიძლება გადაიჭრას, ზოგისთვის ერთი გზის მოძებნაც კი ძნელია. პრობლემას არ გააჩნია ცალსახა ამოხსნა. მისი გადაწყვეტის გზა კონკრეტული პირობების გათვალისწინებით უნდა მოიძებნოს. ხშირად ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ცდილობს, არ იფიქროს პრობლემაზე, თვალი დახუჭოს მასზე. ეს, უკეთეს შემთხვევაში, გადაავადებს პრობლემის გადაჭრას ან კიდევ უფრო დაამძიმებს ამ პრობლემით გამოწვეულ შედეგებს. პრობლემები შეიძლება იყოს პირადი ან საზოგადოებრივი. საზოგადოებრივი პრობლემები პირდაპირ ან ირიბად მოქმედებენ ადამიანზე. შესაძლებელია, გარკვეულ ეტაპზე, საზოგადოება ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ხედავს ან არ აღიარებს პრობლემის სერიოზულობას.

პრობლემების გადაწყვეტა კოლექტიურ ძალისხმევას მოითხოვს. ადამიანთა დამოკიდებულება, ცოდნა, უნარი და მონდომება ის აუცილებელი პირობებია, რომლებიც პრობლემის გადაჭრას სჭირდება. მთელი რიგი საქმიანობისათვის თავის გართმევა მარტო შეუძლებელია. უძველესი დროიდან ადამიანები ხვდებოდნენ, რომ საფრთხეს მარტო ვერ გაუმკლავდებოდნენ. ურთიერთმხარდაჭერის იდეა აისახა ფოლკლორსა თუ სხვადასხვა მწერლის ნაწარმოებებში.

წაიკითხეთ მოცემული ანდაზები და გაიაზრეთ მათში გადმოცემული სიბრძნე. „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო", „ძალა ერთობაშია".

პრობლემათა სიმრავლისა და სირთულის გამო, შეუძლებელია ყველა პრობლემაზე მუშაობა. აქტიური ადამიანი საკუთარი შეხედულებების, შესაძლებლობებისა და არსებული პირობების მიხედვით ირჩევს პრობლემას და თაოსნობს მის გადაწყვეტას. ასეთ შემთხვევაში იტყვიან, რომ საქმე მისი ინიციატივით გაკეთდა.

საქმის წამოწყებისას ადამიანმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაარკვიოს, აქვს თუ არა ამ საქმის გაკეთების უფლება და ვისგან უნდა აიღოს ნებართვა. გარდა ამისა, უნდა განსაზღვროს, ვისთან ითანამშრომლოს. აქტიური ადამიანის ინიციატივას შეიძლება არაერთი ადამიანი გამოეხმაუროს. **ზოგი შეიძლება იმდენად დაინტერესდეს ამა თუ იმ წამოწყებით, რომ გადაწყვიტოს, საკუთარი ცოდნა, ენერგია და დრო მოახმაროს მის განხორციელებას ანაზღაურების გარეშე. ასეთ ადამიანებს მოხალისეებს უწოდებენ. მოხალისეები (ხშირ შემთხვევაში ბავშვებიც) ბევრ ჰუმანიტარულ ორგანიზაციაში მუშაობენ.**

ჰუმანიტარული ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობა სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენაა ბუნებრივი ან ადამიანების ქმედებით გამოწვეული კატასტროფის შედეგების შესამსუბუქებლად. ამგვარი დახმარება მიზნად ისახავს ადამიანების სიცოცხლის გადარჩენას, მათი განსაცდელის შემსუბუქებასა და ადამიანის ღირსების დაცვას. **მოხალისეობა შეიძლება სხვა სფეროშიც გამოვლინდეს.** ასეთი მაგალითია უცხოელ მასწავლებელთა მუშაობა საქართველოში პროგრამის – „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ – ფარგლებში. **გაეროს გენერალური ასამბლეის ინიციატივით, 1985 წლიდან მოხალისეთა საერთაშორისო დღედ გამოცხადდა 5 დეკემბერი.** მოხალისეების გარდა, პრობლემის გადაჭრაში საჭირო ხდება იმ ორგანიზაციების ჩართვა, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ. ასევე საჭიროა იმ პირების ჩართვა, რომლებსაც თანამდებობრივად აქვთ მინიჭებული გარკვეული უფლებამოსილებანი და შეუძლიათ დახმარების გაწევა კონკრეტული იდეის განხორციელებისას. თანამონაწილეთა არჩევისას პიროვნულ თვისებებსაც აქვს მნიშვნელობა. გასათვალისწინებელია მათი პასუხისმგებლობის გრძნობა, ცოდნა, ლოგიკური აზროვნების უნარი, ხასიათი და ა.შ. ამრიგად, თანამშრომლობისათვის პარტნიორს ირჩევ: ინტერესების მიხედვით; უნარის მიხედვით; უფლებამოსილების მიხედვით; პიროვნული თვისებების მიხედვით და ა.შ.

მოხალისეობა *– არის ნებაყოფლობითი მუშაობა სხვის სასარგებლოდ, ანაზღაურების გარეშე.*

თანამშრომლობა *– არის ურთიერთშეწყობილი, შეთანხმებული მუშაობა.*

ინიციატივა *– არის თაოსნობა რაიმე საქმეში, საჭირო მომენტში დამოუკიდებელი, აქტიური მოქმედების უნარი.*

სხვადასხვა დროისა და ხალხის სხვადასხვა პრობლემა

ნაწყვეტი ალბერტ შვაიცერის ბიოგრაფიიდან

წყარო:

სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო „თანამშრომლობა საზოგადოებრივი სარგებლისათვის" გვ. 14, 16.

1904 წლის შემოდგომაზე, პარიზის მისიონერთა საზოგადოების ჟურნალში დაიბეჭდა სტატია "მისიის გასაჭირი კონგოში". მასში ეწერა იმ მძიმე მდგომარეობის შესახებ, რომელშიც აღმოჩნდნენ მისიონერები, რომლებიც ცდილობდნენ დახმარებოდნენ ათასგვარი ავადმყოფობით გატანჯულ გაბონის პროვინციის მცხოვრებლებს: "პატარა არმიას, რომელიც იბრძვის ოგოვეს სანაპიროზე, სჭირდება ძალა, ენერგია. იქნებ ამ მოწოდებამ მიაღწიოს მკითხველის გულამდე..."
ამ დროს 29 წლის ელზასელი ალბერტ შვაიცერი უკვე იყო ფილოსოფიის დოქტორი, თეოლოგიის ლიცენციანტი, სემინარიის ხელმძღვანელი, ცნობილი ორგანისტი და მუსიკათმცოდნე, მრავალი საინტერესო წიგნის ავტორი ფილოსოფიაში, თეოლოგიასა და მუსიკაში. ჰყავდა მშობლები და და-ძმა, ის ძალიან უყვარდათ სტუდენტებს, მის გვერდით იყო მშვენიერი ელენ, რომელსაც ის უყვარდა და ესმოდა მისი. შვაიცერი მეტად ააღელვა წაკითხულმა შეტყობინებამ, მაგრამ ... გადაწყვეტილება მიიღო და დამშვიდდა.

პაკისტანელი ბიჭის ამბავი

1995 წლის ერთ დილას, 12 წლის კანადელმა კრეგ კიელბიურგერმა, სკოლაში წასვლის წინ, ჩვეულებისამებრ, გაზეთი "ტორონტოს ვარსკვლავი" აიღო კომიქსის მოსაძებნად. პირველ გვერდზე მან დაინახა ფოტო, რომელმაც შეცვალა მისი ცხოვრება. ფოტოზე მისი თანატოლი, პაკისტანელი იქბალ მარიჰი იყო აღბეჭდილი. სტატიაში ეწერა, რომ ბავშვი მონად გაყიდეს 4 წლის ასაკში და მას შემდეგ 6 წელი იძულებული იყო ემუშავა მქსოველად ფაბრიკაში. 10 წლის რომ გახდა, გაქცევით უშველა თავს და ცდილობდა ყველგან ემხილა ბავშვთა შრომის ფაქტები. მას უნდოდა მიეწვდინა ხმა სხვადასხვა ქვეყნისათვის და ეჩვენებინა, რა მძიმე დღეში იმყოფება უამრავი ბავშვი. იყო ხალხი, ვისაც არ მოსწონდა მისი პროტესტი და ის მოკლეს.

მოულოდნელი გადაწყვეტილებები

ალბერტ შვაიცერის გადაწყვეტილება

1905 წელს შვაიცერმა მეგობრებს განუცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს მიიღოს სამედიცინო განათლება და ექიმად წავიდეს აფრიკაში. მან დაიწყო თანხების შეგროვება ლამბარენეს საავადმყოფოსათვის. ფულის ძირითად წყაროს მის მიერ ფილოსოფიასა და

მუსიკათმცოდნეობაში დაწერილ წიგნთა გამოცემა წარმოადგენდა. ის დაუკავშირდა ფრანგულ მისიას, რომელმაც ითავა საავადმყოფოს აშენება
1913 წლის გაზაფხულზე, შვაიცერი, უკვე მედიცინის დოქტორი, მეუღლესთან (მას მედ დების კურსები ჰქონდა გავლილი) ერთად გაემგზავრა გაბონში. საავადმყოფოს მშენებლობა ჯერ დაწყებულიც არ იყო. ექიმი ღებულობდა ავადმყოფებს და პარალელურად აშენებდა საავადმყოფოს. წელიწადში ერთხელ ჩადიოდა ევროპაში და კითხულობდა ლექციებს მუსიკათმცოდნეობაში და თავისი საავადმყოფოს შესახებ. ამით მიღებულ შემოსავალს ახმარდა საავადმყოფოს და აცნობდა მას მსოფლიოს. ამის შედეგად ბევრმა გაუწია დახმარება ლამბარენეს საავადმყოფოს. 1924 წლიდან შვაიცერს მუდმივად ეხმარებოდნენ ევროპიდან მორიგეობით ჩამოსული ექიმები.

კრეგ კიელბიურგერის გადაწყვეტილება

კრეგი მიხვდა, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა ბავშვსაც კი შეუძლია. მან თავის 11 თანაკლასელთან ერთად ჩამოაყალიბა ორგანიზაცია, რომლის ფრანგული სახელწოდება "Enfants Entraide" სიტყვა-სიტყვით ითარგმნება როგორც "ბავშვების ურთიერთდახმარება", ხოლო ინგლისური "Free The children" კი - როგორც "გაათავისუფლეთ ბავშვები". ორგანიზაცია მიზნად ისახავს გაათავისუფლოს ბავშვები სიღარიბისა და ექსპლუატაციისაგან. კრეგის იდეა თოვლის გუნდასავით აგორდა. კრეგმა ბევრი ქვეყანა მოიარა, სადაც საშინელ პირობებში მყოფი ბავშვები ინახულა და მათი ამბავი დანარჩენ მსოფლიოს გააცნო. მას მსოფლიოში ბევრი პარტნიორი და გულშემატკივარი ყავს. ზოგი ფინანსურ დახმარებას უწევს, ზოგი - პროფესიულს. ბევრი ხალხი ცდილობს ორგანიზაციის გზავნილის გავრცელებას და მისი მიზნების ახსნას. "გაათავისუფლეთ ბავშვები" ახორციელებს პროგრამებს ერთ მილიონზე მეტი ბავშვისათვის მსოფლიოს 45 ქვეყანაში. პროგრამები აძლევენ მათ საშუალებას მიიღონ განათლება, ხოლო მათ ოჯახებს ხელს უწყობენ სიღარიბის დაძლევაში, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში (გაყავთ სასმელი წყალი სოფლებში, სადაც წყალი არ არის და ბავშვები შორიდან ეზიდებიან). დახმარებას უწევენ საავადმყოფოებს. უკიდურესი გაჭირვებიდან თავის დაღწევა და სკოლაში განათლების მიცემის შესაძლებლობა აძლევს ოჯახებს საშუალებას არ დაუშვან შვილების მუშაობა მცირეწლოვან ასაკში.

ნიმუში

რითი განსხვავდება ბულინგი ბავშვური სიცელქისგან?
ბავშვური სიცელქე
ბულინგი
ბოდიში, შემთხვევით მომიხვდა
რა მაგრად აფრინდა :D :D
• შემთხვევითია და ერთჯერადი
• ქმედების მიზანი არ არის ვინმეს დამცირება და გულისტკენა. ადამიანი იხდის ბოდიშს და აღარ იმეორებს შემთხვევთ ჩადენილ საქციელს
• ხდება გაზრახ და განმეორებითად
• ქმედბის მიზანი არის გულისტკენა და დამცირება. ადამიანი არ ნანობს საკუთარ საქციელს

რა არის ბულინგი?
ბულინგი არის ჩაგვრა, რომელიც სისტემატურად და მიზანმიმართულად ხორციელდება ამოჩემებული ბავშვის/ების მიმართ. ბულინგი შეიძლება იყოს:
1
2
#!@!!?!
3
ფიზიკური
ფიზიკური ბულინგი არის ჩაგვრის ისეთი ფორმა, როდესაც ბავშვს ან მის საკუთრებას ეხებიან ფიზიკურად და ცდილობენ ტკივილის მიყენებას, დაზიანებას და ამით დაშინებას
სიტყვიერი
სიტყვიერი ბულინგი არის ჩაგვრის ისეთი ფორმა, როდესაც ბავშვს ეძახიან დამამცირებელ მეტსახელებს, ეუბნებიან გამაღიზიანებენ სიტყვებს ან ემუქრებიან
სოციალური
სოციალური ბულინგი არის ჩაგვრის ისეთი ფორმა, როდესაც ბავშვს რიყავენ, არ ეკონტაქტებიან, შეიძლება გაუვრცელონ ჭორები ან დასწამონ ცილი